შ.პ.ს. „აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“

დაფინანსების წყარო
საკუთარი შემოსავლები

ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა

(CPV კოდი 33600000)

ქიმიური რეაქტივები

(CPV კოდი 33696300)

ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

თბილისი 2013 წელი

შენიშვნა:

1. სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო მოცემულია ვებ-გვერდზე: **www.procurement.gov.ge**
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მოცემულია ვებ-გვერდზე: **www.procurement.gov.ge**

1. დამატებითი ინფორმაცია

1. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერანტიული წინადადება;
2. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებასა და CIP/Carriage and Insurance Paid/ (place of destination) თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე, მოწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და გათვალისწინებულ გადასახადებას. ხარჯები, რომელიც არ იქნება დაფიქსირებული სატენდერო წინადადებაში, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.
3. სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში.
4. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
5. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) დღის განმავლობაში.
6. მისაწოდებელი საქონლის ღირებულების დაფარვა მოხდება ტენდერში გამარჯვებულ პირსა და შ.პ.ს. „აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკას“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც დაზუსტდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან.
7. მისაწოდებელი საქონელი უნდა იყოს მსგავსი, ექვივალენტური მახასიათებლების მქონე.
8. წესის მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის კ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებიდან ამავე მუხლის მ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე, არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს, სისტემის მოდულის-„კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება.
9. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია წესისი მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებამდე, გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა ტენდერში წინადადების მიღების დასრულებამდე, სისტემის მოდულის შესაბამისი „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით გააკეთოს შესაბამისი დაზუსტება/განმარტება, რითაც შეიძლება იხელმძღვანელოს დაინტერესებულმაპირმა.
10. პრეტენდენტის მიერ დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხდება სისტემის მეშვეობით. საკვალიფიკაციო მონაცემების დედანის წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშვება ხელშეკრულების ხელისმოწერის მომენტისთვის.
11. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

სოფიო ქალდანი – შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მობ: 599897987;

თინათინ ნაკაიძე - გენერალური დირექტორის თანაშემწე, მობ: 599897969;

შ.პ.ს. „აკად. ნ ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ **(მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №29, მე-3 სართული) ტელეფონი: (995 32) 2392966**

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1. იურიდიული პირისათვის:

• ცნობა საჯარო რეესტრი სეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ; (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

1.2. ფიზიკური პირისათვის:

• ცნობა სათანადო დაწესებულებიდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმის წარმოება.

1.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

•ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

<u>**არარეზიდენტმა პირებმა პირველ პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით - ლეგალიზებული ფორმა.**</u>

2. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს:

ა) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (ტენდერი გამოცხადებულია) დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (ტენდერი გამოცხადებულია) დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.

ბ) ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (წინადადების მიღება დაწყებულია) დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში –საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (წინადადების მიღება დაწყებულია) დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.

3. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

4. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციულ იორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

3. <u>ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოსადგენი ინფორმაცია</u>

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინოს:

ა) რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი დანართი№1-ის მიხედვით;

ბ) ფასების ცხრილი, დანართი N2-ის მიხედვით;

<u>შენიშვნა:</u> სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს უცხოურ ენაზე. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის #9 ბრძანების მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უცხოურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები.

ტექნიკური დავალება

№	დასახელება	დეტალური მახასიათებელი	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	დასახელება - 99Mo/99mTC გენერატორი	99Mo/99mTC გენერატორი, მაქს აქტივობა 50GBq. გენერატორი შეიცავს მოლიბდენ-99-ს, რომელიც ადსორბირებულია ალუმინის ოქსიდის სვეტზე. მისი ელუაცია ხდება 0.9% NaCl ხსნარით ტექნეციუმ-99m-ის ნატრიუმის პერტექნეტატის (იზოტონური, სტერილური, არაპიროგენული დაი.ვ. ინექციისათვის შესაბამისი) ხსნარის მისაღებად. სატრანსპორტო კონტეინერი სადაც გენერატორია მოთავსებული უნდა აკმაყოფილებდეს რადიოაქტიული უსაფრთხოების პარამეტრებს.	unit (ცალი)	25 unit (ცალი)
2	დასახელება – MDP Kit= მდპ კიტი №5 ამპულა	მეთილენედიფოსფორის მჟავა (მდპ) მინ. 5მგ ფლაკონი რომელიც შეიცავს სტერილურ, არაპიროგენულ, ლიოფიზილებულ ფხვნილს ი.ვ. ინექციისათვის.	კოლოფი	20 vial (ცალი)
3	DTPA Kit= დტპა კიტი №5 ამპულა	დიეთილენტრიამინპენტააცეტატი (დტპა) მინ. 15მგ ფლაკონი რომელიც შეიცავს სტერილურ, არაპიროგენულ, ლიოფიზილებულ ფხვნილს ი.ვ. ინექციისათვის.	კოლოფი	20 vial (ცალი)
4	DMSA Kit= დმსა კიტი №5 ამპულა	დიმერკაპტოსუქცინის მჟავა (დმსა) მინ. 1.0მგ ფლაკონი რომელიც შეიცავს სტერილურ, არაპიროგენულ, ლიოფიზილებულ ფხვნილს ი.ვ. ინექციისათვის.	კოლოფი	12 vial (ცალი)

5	MIBI Kit= მიბი კიტი №5 ამპულა	მეთოქსიზობუთილიზონიტრილი (მიბი) მინ. 1.0მგ ფლაკონი რომელიც შეიცავს სტერილურ, არაპიროგენულ, ლიოფიზილებულ ფხვნილს ი.ვ. ინექციისათვის.	კოლოფი	10 vial (ცალი)

დასახელება - 99Mo/99mTC გენერატორი

99Mo/99mTC გენერატორი, მაქს აქტივობა 50GBq. გენერატორი შეიცავს მოლიბდენ-99-ს, რომელიც ადსორბირებულია ალუმინის ოქსიდის სვეტზე. მისი ელუაცია ხდება 0.9% NaCl ხსნარით ტექნეციუმ-99m-ის ნატრიუმის პერტექნეტატის (იზოტონური, სტერილური, არაპიროგენული დაი.ვ. ინექციისათვის შესაბამისი) ხსნარის მისაღებად.

სატრანსპორტო კონტეინერი სადაც გენერატორია მოტავსებული უნდა აკმაყოფილებდეს რადიოაქტიული უსაფრთხოების პარამეტრებს.

რაოდენობა - 25 unit (ცალი)

დასახელება – MDP Kit= მდპ კიტი

მეთილენედიფოსფორის მჟავა (მდპ) მინ. 5მგ ფლაკონი რომელიც შეიცავს სტერილურ, არაპიროგენულ, ლიოფიზილებულ ფხვნილს ი.ვ. ინექციისათვის.

რაოდენობა - 100 vial (ცალი) ამპულა

დასახელება – DTPA Kit= დტპა კიტი

დიეთილენტრიამინპენტააცეტატი (დტპა) მინ. 15მგ ფლაკონი რომელიც შეიცავს სტერილურ, არაპიროგენულ, ლიოფიზილებულ ფხვნილს ი.ვ. ინექციისათვის.

რაოდენობა - 100 vial (ცალი) ამპულა

დასახელება – DMSA Kit= დმსა კიტი

დიმერკაპტოსუქცინის მჟავა (დმსა) მინ. 1.0მგ ფლაკონი რომელიც შეიცავს სტერილურ, არაპიროგენულ, ლიოფიზილებულ ფხვნილს ი.ვ. ინექციისათვის.

რაოდენობა - 60 vial (ცალი) ამპულა

დასახელება – MIBI Kit= მიბი კიტი

მეთოქსიზობუთილიზონიტრილი (მიბი) მინ. 1.0მგ ფლაკონი რომელიც შეიცავს სტერილურ, არაპიროგენულ, ლიოფიზილებულ ფხვნილს ი.ვ. ინექციისათვის.

რაოდენობა - 50 vial (ცალი) ამპულა

დასახელება - 99Mo/99mTC Generator

99Mo/99mTC Generator, max activity 50GBq. Generator contains fission Molibdenum-99 absorbed by aluminum oxide (Al2O3) a glass column. It is eluted by 0.9% NaCl solution to receive 99mTc sodium pertechnetate solution (isotonic, sterile, non-pyrogenic and suitable for i.v. injection).

Transport container where generator is placed must be suit radiation protection requirements. i.e. container has to be lead shielded and specially protected with key or any other security matters to avoid opening during transportation.

რაოდენობა - 25 unit (ცალი)

დასახელება – MDP Kit

Methylenediphosphonic acid (MDP) min 5mg vial containing sterile, non-pyrogenic, lyophilized powder for solution for I.V. injection.

რაოდენობა - 100 vial (ცალი)

დასახელება – DTPA Kit

Diethylene triaminepentaacetic acid (DTPA) min 15mg vial containing sterile, non-pyrogenic, lyophilized powder for solution for I.V. injection, inhalation or oral administration.

რაოდენობა - 100 vial (ცალი)

დასახელება – DMSA Kit

Dimercaptosuccinic acid (DMSA) min 1.0mg vial containing sterile, non-pyrogenic, lyophilized powder for solution for I.V. injection, inhalation or oral administration.

რაოდენობა - 60 vial (ცალი)

დასახელება – MIBI Kit

Methoxyisobutilisonitrile (MIBI) min 1.0mg vial containing sterile, non-pyrogenic, lyophilized powder for solution for I.V. injection, inhalation or oral administration.

რაოდენობა - 50 vial (ცალი)

1. საქონლის ხარისხის სერტიფიკატი (მოთხოვნის შესაბამისად)
2. საქონლის ვარგისიანობის ვადები:

   3.1. გენერატორის შემთხვევაში ვარგისიანობის ვადა არ უნდა 14 დღეზე ნაკლები;
   3.2. მე-2, მე3, მე4 და მეხუთე პოზიციებზე ვარგისიანობის ვადა არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები;

პროექტი

ხელშეკრულება №

ქ. თბილისი „--------“ „აპრილი“ 2013წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, **შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუივერსიტეტო კლინიკა“**(შემდგომში „შემსყიდველი”) გენერალური დირექტორის **ავთანდილ იმედაძის** სახით, და მეორე მხრივ, ----------, (შემდგომში „მიმწოდებელი“), ----------სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით **87000 (ოთხმოცდაშვიდიათასი) ლარზე** საკუთარი შემოსავლების ფარგლებში **ფარმაცევტული პროდუქტების** (CPVკოდი 33600000) შესყიდვაზე. რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი------- (_____) (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები.

3.1.სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში;

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1 საქონლის საერთო ღირებულებაა ----------.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან, განახორციელებს სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან/და უფლებამოსილი პირი. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე მოსაწოდებელი საქონლის წარმოების, შეფუთვის, ვარგისიანობის ვადების, ჰიგიენური ნორმების სვხა მოწოდებისათვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვის კონტროლს.

5.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ხარჯი და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიმწოდებელს.

6. შეფუთვა

6.1. მოსაწოდებელი საქონელი შეფუთული უნდა იყოს შესაბამისი ნორმების დაცვით.

6.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია შემსყიდველის წინაშე საქონლის ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში, რომელიც გამოწვეული იქნება არასწორი შეფუთვით.

7. საქონლის მიწოდების პირობები

7.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, CIP/Carriage and Insurance Paid/ (place of destination) თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.

7.2. საქონლის მიწოდება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამკურნალო საშუალებების მოწოდება შესაბამისი ნორმების მკაცრი დაცვით.

8. თანმდევი მომსახურება (არსებობის შემთხვევაში)

8.1. აღნიშნული ხელშეკრულებით თანმდევი მომსახურების გამოყენების საკითხი გადაწყდება სახელმწიფო შესყიდვაში გამარჯვებულის სატენდერო წინადადების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისას.

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. შემსყიდველის მიერ საქონლის მიღება წარმოებს ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტებით. საქონლის მიწოდების ყოველი ეტაპის დასრულების შემდგომ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

9.2. მიღება-ჩაბარების თითოეული ეტაპის წინ განხორციელდება მოწოდებული საქონლის საბოლოო შემოწმება, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფიან/და უფლებამოსილი პირი.

9.3. მიღება-ჩაბარების აქტებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

9.4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს:

ა. ხარჯთაღრიცხვა მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით;

ბ. შესყიდვის ობიექტის ცალკეული პოზიციებისათვის და ერთეულებისათვის საჭიროების შემთხვევაში:

გ. სასაქონლო ზედნადები.

9.5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 9.4. პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტების წარდგენა საქონლის დანიშნულების ადგილზე მიწოდებისთანავე. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

10. საქონლის ვარგისიანობის ვადა (გარანტია)

10.1. გენერატორის ვარგისიანობის მოქმედების ვადა უნდა გრძელდებოდეს მოწოდების მომენტიდან არანაკლებ 14 დღისა. დანარჩენ პოზიციებზე ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს არანაკლებ 6 თვისა;

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია გარანტიის მოქმედების პერიოდში მოწოდებული საქონლის წუნდების შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 15 დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

11. ანგარიშსწორება

11.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე საქონლის მიწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღისა.

11.2. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ანგარიშფაქტურები საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო რაოდენობის მითითებით.

12. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქონლის ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-14 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში;

12.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

12.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;

12.3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა;

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

13.1. ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელი უხდის შემსყიდველს ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

13.2. საქონლის მიწოდებისთვის განსაზვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ გადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები

14.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

14.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14.3. ფასების ცვლილება დასაშვებია შემსყიდველის თანხმობის შემთხვევაში, რაც განპირობებული უნდა იყოს ეროვნული ვალუტის ინფლაციის მაღალი დონე (არანაკლებ 5%-ით), საგადასახადო რეჟიმის შეცვლა, სავალუტო კურსის მინშვნელოვანი ცვლილება (არანაკლებ ±5%-ით) და სხვა;

14.4. ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან/და შემცირება არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5%-ს.

14.5. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.6. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15. ფორს-მაჟორული სიტუაცია

15.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

15.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

15.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

15.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
15.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
15.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
15.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
15.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
16.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
17. სხვა პირობები
17.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
17.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
17.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
17.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
17.5 კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
17.6. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
17.7. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება “მიმწოდებელთან”, ერთი _ “შემსყიდველთან”.
17.8 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.
18. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ **„მიმწოდებელი“**

შპს „აკად. ნ.ყიფშიძის სახ. ცენტრალური
საუნივერსიტეტო კლინიკა“
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.№29
ს/კ №205165453
ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“
ცენტრალური ფილიალი
ბ/კ №REPLGE22

ა/ა №GE05BR0000003408078257

_____

გენერალური დირექტორი
ავთანდილ იმედაძე

დანართი №1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

სატენდერო წინადადების ფასი _____

სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყების თარიღიდან ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

ხელის მოწერა და ბეჭედი _____

(მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

დანართი N2

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8	9
							2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით	CIP/Carriage and Insurance Paid/ (place of destination) თბილისის საერთაშორისო აეროპორტი მიმღები: შ.პ.ს. „აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“

პრეტენდენტის დასახელება _____

ხელის მოწერა და ბეჭედი _____ (მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)